



საქმე № 1გ/1483-17



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ

28 დეკემბერი, 2017 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გელა ბადრიაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე ბრალდებულ ვ. გ.-ს საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე თემურ გოგოხიას 2017 წლის 19 დეკემბრის განჩინებაზე, ბრალდებულ ვ. გ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის გადასინჯვასთან (ძალაში დატოვებასთან) დაკავშირებით,

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

საქართველოს შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მეოთხე განყოფილება იძიებს სისხლის სამართლის №XXXXXXXXXX საქმეს, ვ. გ.-ს მიმართ, ოჯახში ძალადობის ფაქტზე.

წარმოდგენილი საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2017 წლის 10 ოქტომბერს, დაახლოებით 14:00 საათზე, ქ. თ.-ში, გ. ჯ.-ს ქ.NX/X-ში, ვ. გ.-მ რკინის ნაჭრის თავის და ტანის არეში ჩარტყმით, არასრულწლოვან გერს - ა. კ.-ს მიაყენა თავის არეში 3-4 სმ ზომის ნაკვეთი ჭრილობა და თავის ტვინის შერყევა, რის გამოც დაზარალებული მოათავსეს სამედიცინო დაწესებულების ნეიროქირურგიულ განყოფილებაში.

აღნიშნულ საქმეზე, 2017 წლის 16 ოქტომბერს, ვ. გ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. საქმეზე წინასასამართლო სხდომა დაინიშნა 2017 წლის 28 ნოემბერს, 13:00 საათზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 20 ნოემბრის და 18 დეკემბრის განჩინებებით, საქმეზე დანიშნული წინასასამართლო სხდომის ვადა ორჯერ გაგრძელდა და საბოლოოდ სხდომის თარიღად განისაზღვრა 2018 წლის 11 იანვარი, 15:00 საათი.



წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების შემდეგ, საქართველოს სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების მიზანშეწონილობის შემოწმების მიზნით, სასამართლოს მიერ მოწვეულ იქნენ მხარეები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე თემურ გოგობიას 2017 წლის 19 დეკემბრის განჩინებით, უცვლელად დარჩა ვ. გ.-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული პატიმრობა.

აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ბრალდებულმა ვ. გ.-მ. ბრალდებული ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე თემურ გოგობიას 2017 წლის 19 დეკემბრის განჩინების გაუქმებას და აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის ნაცვლად გირაოს გამოყენებას.

საჩივარში მითითებულია, რომ განჩინება უკანონო და უსამართლოა, რადგან მოსამართლემ მიუთითა განჩინებაში თითქოს დაცვის მხარემ არ წარმოადგინა ახალი არსებითი გარემოება, რის თაობაზეც სასამართლოს არ უმსჯელია და რაც დაასაბუთებდა ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საფუძვლებს. ახალი არსებითი გარემოებები, თანდართული წერილობით დოკუმენტაციით, რაც სრულად წარმოადგინა ადვოკატმა 2017 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე, ერთვის აღნიშნულ საქმეს და წარმოადგენს არსებითად ახალ გარემოებას, რაზეც მოსამართლეს უნდა ემსჯელა. კერძოდ, დაზარალებულს პრეტენზია არ გააჩნია, არსებობს მეზობლების და ს. მართლმადიდებლური წმინდა ეკლესიის დადებითი დახასიათება, ბრალდებული არის სოციალურად დაუცველი პირი და დაავადებულია C ჰეპატიტით. მოსამართლემ დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის იმპერატიული და სავალდებულო მოთხოვნა და ყოველგვარი განხილვის, მსჯელობის და სამართლიანი შეფასების გარეშე ძალაში დატოვა პატიმრობა, რის საფუძველი და მიზეზი არ არსებობს. არ არსებობს არანაირი პირობა გირაოს პირობების დარღვევის, ვ. გ. პატიოსნად გამოცხადდება სასამართლოში, პროკურატურაში და ხელს შუწყობს გამოძიებას სწრაფი და სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულებაში. მას აქვს ცოლ-შვილთან არაჩვეულებრივი დამოკიდებულება და მსგავსი სახის კონფლიქტი არასდროს განმეორდება (იხ.საჩივარი).

საჩივრის არსებითად განხილვამდე, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია ზეპირი მოსმენის გარეშე ამოწმებს და წყვეტს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის საკითხს. საჩივარი დასაშვებია მაშინ, თუ სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა ან არსებული მოთხოვნების დარღვევა მისი მიღებისას ანდა საჩივარში მითითებულია არსებითი მნიშვნელობის მქონე



საკითხსა და მტკიცებულებაზე, რომელიც არ გამოიკვლია ან არ შეაფასა პირველი ინსტანციის სასამართლომ, რაც გავლენას იქონიებდა პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე. საჩივრის დასაშვებობის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს განჩინება.

შევამოწმე საჩივრის შესაბამისობა დასაშვებობისთვის კანონით დადგენილ მოთხოვნებთან და მიმაჩნია, რომ იგი დაუშვებელია, შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინების გაცემისას, მოსამართლემ განიხილა პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი, მოუსმინა პროცესის მონაწილეებს, გააანალიზა საქმის მასალები, გამოიკვლია გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების როგორც ფაქტობრივ, ისე ფორმალურ საფუძველთა არსებობა და მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იყო ბრალდებულ **ვ. გ.-ს** პატიმრობაში დატოვება.

მასალების მიხედვით, მოსამართლის მიერ შემოწმებულია **ვ. გ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების თაობაზე მხარეთა მოთხოვნების დასაბუთებულობა და გამოძიების დროს საპროცესო მოქმედებათა კანონშესაბამისობის საკითხი. საკითხი განხილულია საქართველოს სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 206-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შემდეგ, საქმეზე ისეთ გარემოებათა გამოვლენას, რაც ბრალდებულ **ვ. გ.-ს** მიმართ მისი გაუქმების ან გირაოთი შეცვლის აუცილებლობას შეიძლება იწვევდეს, ადგილი არ ჰქონია.

გასაჩივრებული განჩინების მიხედვით, ბრალდებულ **ვ. გ.-ს** მიმართ პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ მიუთითა, რომ დაცვის მხარეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია არსებითი მნიშვნელობის მქონე ისეთი მასალა, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების მართლზომიერების შეფასებაზე. **ვ. გ.-ს** ბრალად ედება განზრახი, ოჯახის წევრის წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი დანაშაულის ჩადენა. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, არ დასრულებულა საქმეზე მტკიცებულებათა მოპოვება-დამაგრების პროცესი. დაზარალებული მიეკუთვნება მოწყვლად პირთა კატეგორიას, რომლის მიმართ მეორეული ვიქტიმიზაციის გამორიცხვისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემცირდეს ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულზე ზემოქმედების საფრთხე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის მხრიდან მოწმეებსა და დაზარალებულზე ზემოქმედების, მტკიცებულებათა განადგურების და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე რელევანტურია და პატიმრობა კვლავ წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელების საფრთხის პრევენციის ერთადერთ უალტერნატივო საშუალებას. დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია ინფორმაცია ახალი გარემოებების შესახებ, რაც დაასაბუთებს ბრალდებულ **ვ. გ.-ს** მიმართ გამოყენებული პატიმრობის უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საფუძვლიანობას. შესაბამისად, სასამართლოს შეფასებით, კვლავ სახეზეა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ძალაში დატოვების საფუძვლები, არ არის აღმოფხვრილი ის საფრთხეები, რაც არსებობდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების დროს (იხ. განჩინება).



თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია, დასაბუთებულია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

გასაჩივრებულ განჩინებაში აღწერილი და საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების, აგრეთვე, საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული პატიმრობის გამოყენების ფორმალური საფუძვლების გათვალისწინებით, სავსებით რეალურია ბრალდებულ ვ. გ.-ს მიერ მტკიცებულებათა მოპოვებაში ხელის შეშლის, მათი განადგურების და დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების რისკი. ასეთ პირობებში, აღკვეთის ღონისძიების ყველაზე ეფექტური და მიზანშეწონილი სახე, რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულ ვ. გ.-ს სათანადო ქცევას საქმის გამოძიების და სასამართლოში განხილვის დროს, არის პატიმრობა.

საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, სასამართლო სავალდებულო წესით იხილავს ბრალდებულის მიმართ გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების მიზანშეწონილობის საკითხს. ამავე კოდექსის 206-ე მუხლის მე-8 ნაწილისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში, სასამართლო არ მსჯელობს მხარეთა მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობების დასაშვებობაზე. ის პირდაპირ აფასებს მხარეთა შუამდგომლობების დასაბუთებულობას იმ ჭრილში, შეიცავს თუ არა პატიმრობის შეცვლის მომთხოვნით მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია ისეთ ახალ, არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხებს ან წარმოდგენილია თუ არა ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც შეძლება მიუთითებდეს გამოყენებული პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესაძლებლობაზე.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხის განხილვისას, მხარის მიერ დასმული საკითხები და წარმოდგენილი მტკიცებულებები შესაძლებელია შეიცავდეს ისეთ ახალ ინფორმაციას, რომელიც ვერ იქნებოდა მსჯელობის საგანი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას, თუმცა ეს ახალი გარემოებები მხოლოდ მაშინ უნდა გაითვალისწინოს მაგისტრატმა მოსამართლემ, თუ მათი შეფასების შემდეგ სასამართლოს აშკარად ექმნება პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების მიზანშეწონილობის წინაპირობები.

განსახილველ შემთხვევაში, საგამომიებო კოლეგიის შეფასებით, მართალია, დაცვის მხარემ წარმოადგინა ისეთი ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც არ განხილულა ბრალდებულ ვ. გ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას, მაგრამ ეს მტკიცებულებები რეალურად გავლენას არ ახდენს პატიმრობის ძალაში დატოვების მიზანშეწონილობაზე, რადგან არ მიუთითებს იმ საფრთხის და რისკების შემცირებაზე, რომელთა არსებობაც საფუძვლად დაედო ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას. კერძოდ, დაზარალებულის პრეტენზიის არარსებობა, მეზობლების და სასულიერო პირების დადებითი დახასიათება, სოციალურად დაუცველის სტატუსის ქონა და „C“ ჰეპატიტით დაავადების ფაქტი არ ამცირებს ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების



(არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მიმართ ძალადობის განმეორების) და მტკიცებულებების განადგურების რისკს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა არის ბრალდებულის პიროვნების, ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაულის სიმძიმის და ხასიათის, საქმეზე არსებული რისკების პროპორციული. ამიტომ, საგამომიებო კოლეგიის შეფასებით, **ვ. გ.-ს** მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გაუქმება ან შეცვლა არ არის მიზანშეწონილი. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

საგამომიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ ბრალდებულის საჩივრის სააპელაციო სასამართლოში გადმოგზავნის შემდეგ, 2017 წლის 27 დეკემბერს, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას შუამდგომლობით მომართა ბრალდებულ **ვ. გ.-ს** ადვოკატმა **ნ. ს.-მ** და წარმოადგინა 2017 წლის 26 დეკემბერით დათარიღებული ახალი დადგენილება **ვ. გ.-ს** ბრალდების შესახებ, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულის ქმედება დაკვალიფიცირებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-120-ე მუხლით. აღნიშნულის საფუძველზე, ადვოკატმა ითხოვა ბრალდებულის საჩივრის დაკმაყოფილება იმ მოტივით, რომ ბრალდების შემსუბუქება ასევე არის ახალი გარემოება, რაც შეიძლება საფუძველად დაედოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლას.

ადვოკატის დასახელებულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ შუამდგომლობის ამ სახით პირდაპირ სააპელაციო სასამართლოში შემოტანა არ შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნას. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია უფლებამოსილია განიხილოს მხოლოდ მხარის საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და არა ის შუამდგომლობა, რომლის განხილვაც შესაძლებელია იყოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის კომპეტენცია. შესაბამისად, ადვოკატის დასახელებული შუამდგომლობა ვერ იქნება განხილული სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მიერ ბრალდებულის იმ საჩივართან ერთად, რომელიც იხილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ფორმატში.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოსამართლე თემურ გოგობიამ კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა, გამოიკვლია და შეაფასა სასამართლო სხდომაზე მხარეთა მიერ მითითებული საკითხები და არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, გაითვალისწინა ყველა გარემოება, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა ბრალდებულ **ვ. გ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის უცვლელად დატოვების მართლზომიერების საკითხზე და ზეპირი მოსმენით მათი ხელახლა შეფასების აუცილებლობა არ არსებობს. მოსამართლემ თავისი მსჯელობა და დასკვნები სრულყოფილად ასახა განჩინებაში, რომლის დებულებათა მცდარობა საჩივრის შესწავლით არ დგინდება და არც რაიმე ისეთი



გარემოება იკვეთება, რაც ბრალდებულის მიმართ შერჩეული პატიმრობის გაუქმებას ან სხვა, უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლას განაპირობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4, მე-6, მე-7 ნაწილებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ბრალდებულ **ვ. გ.-ს** საჩივარი **ცნობილ იქნეს დაუშვებლად;**

განჩინების ასლები გადაეცეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირობებს და ორგანოებს;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გელა ბადრიაშვილი
თბილისის სააპელაციო სასამართლოს
მოსამართლე